იოსებ მეტრეველი
ნებართვების და მარეგულირებელ ორგანოებთან
ურთიერთობის მენეჯერი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის
მილსადენის კომპანია (საქართველო)
იალბუზის ქუჩა № 14
თბილისი, 0144, საქართველო
ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის N: **BTC/OUT/5183/23**

10 აპრილი, 2023 წ.

ბ–ნ გ. დუგლაძეს
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს

საგანი: მოთხოვნა შეთანხმებაზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასთან სარეკრიაციო ტერიტორიის ფარგლებში მოხვედრილ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ხე-მცენარეთა მოჭრასთან დაკავშირებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისჯვარი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია საქართველო"-მ- (ს/კ 204992785), სახელმწიფო მიწის ნაკვეთზე ს/კ N64.29.03.745 არსებული 13 (ცამეტი) ხე-მცენარის მოჭრის აუცილებლობის გამო, ნავთობის დაღვრის მეორად შემაკავებელ ობიექტამდე მოხრეშილი მისასვლელი გზის აღდგენის პროექტის ფარგლებში, 2023 წლის 1 მარტის განცხადებით (წერილის N BTC/OUT/5159/23) მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რითაც საქართველოს მთავრობის N365 დადგენილების შესაბამისად, შეატყობინა დაგეგმილ ხე-მცენარეთა ჭრების განხორციელების შესახებ.

იმის გამო, რომ ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთი ს/კ N64.29.03.745, მოქცეულია სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების (მუხლი 33^1 მე-2 პუნქტის (ზ), მე-3-პუნქტის, აგრეთვე მუხლი 33^2 მე-2 და მე-3 პუნქტები) შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, როგორც ამ ნაკვეთის მესაკუთრემ, შესაძლო მოკლე ვადებში შეათანხმოს წინამდებარე განცხადებაში მოხსენიებული 13 (ცამეტი) ხე-მცენარის ჭრის საკითხი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასთან. გთხოვთ შესაბამისად გვაცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, აგრეთვე წარმოგიდგენთ კონტრაქტორი კომპანია შპს „ძელქვა"-ს მიერ ს/კ N64.29.03.745 მიწის ნაკვეთზე საველე კვლევის შედეგად აღმოჩენილ 13 ხე-მცენარეთა X და Y კოორდინატების Shp-ფაილების ელექტრონულ ვერსიებსა და მოსაჭრელ ხე-მცენარეთა შესახებ შესაბამის ტექნიკურ ინფორმაციას (იხ. დანართი).

პროექტით განსაზღვრული სამუშაოების დაწყება ს/კ N64.29.03.745 მიწის ნაკვეთზე კომპანიის მიერ დაგეგმილია, 2023 წლის 20 ივნისიდან და გაგრძელდება 2023 წლის 1 სექტემბრამდე.

კომპანიის საკონტაქტო პირი: ბ-ნი დავით სახოკია, მობ: 599 18 95 35.

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისა და დახმარებისთვის.

პატივისცემით,

ი. მეტრეველი

დანართი:

1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს შესახებ.
2) ს/კ N64.29.03.745 მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის ქაღალდის და ელვერსია (Shp-ფაილები 1-CD).
3) მოსაჭრელი ხე-მცენარეების X და Y კოორდინატების ელვერსია (Shp-ფაილები 1-CD).
4). ს/კ N64.29.03.745 მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
5) ინფორმაცია (Excel) მოსაჭრელ 13 ხე-მცენარის რაოდენობის, სახეობებისა და მოცულობის შესახებ.
6) მოსაჭრელ ხე-მცენარეთა შესახებ შეჯამებული ინფორმაცია
7) 13 ხე-მცენარეთა ამსახველი სურათები.
8) ამონარიდი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 მთავრობის დადგენილებიდან.
9) „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია საქართველო"--ს 2023 წლის 1-მარტის წერილის (BTC/OUT/5159/23) ასლი.